



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1628
04/09/2018

ქალაქი ბათუმი

1628-05-4-201809041111



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრში, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში, ა(ა)იპ ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში, (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლაში მონიტორინგი - კონტროლის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** :

1. შეიქმნას მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების, ა(ა)იპ ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის, (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლის მონიტორინგი - კონტროლის მიზნით კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) კახაბერ ფუტყარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) ქეთევან დევაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) მერაბ თურმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
- დ) მადონა დავითაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების და კულტურის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი, კომისიის მდივანი;

2. დაევალოს კომისიას მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების, ა(ა)იპ ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის, (არაკომერციული) იურიდიული პირის

სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლის მონიტორინგი - კონტროლი და ხელვაჩაურის მერისთვის ინფორმაციის წარმოდგენა შესაბამისი ოქმის სახით.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

